



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 235/ს
25/05/2023

235-21-4-202305251206



კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. მეტეხში შპს „საბადოს“ სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოსა და ნავთობპროდუქტის საცავის ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „საბადოს“ მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. მეტეხში სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოსა და ნავთობპროდუქტის საცავის ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

2022 წლის 9 დეკემბერს, სსდ „გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის“ მიერ განხორციელდა შპს „საბადოს“ კუთვნილი ობიექტის ინსპექტირება და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 57¹ მუხლით (წიაღით სარგებლობა სათანადო ლიცენზიის გარეშე), 82² მუხლის პირველი ნაწილით (ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღების ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დარღვევა), 58-ე მუხლის პირველი ნაწილით (წყლის ობიექტების დაბინძურება, დანაგვიანება, წყლის ობიექტებში ნარჩენებისა და სხვაგვარი ნაყარის ჩაყრა), 77-ე მუხლის პირველი ნაწილით (ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის ფაქტობრივ მდგომარეობასთან შეუსაბამობა ან მისი უქონლობა), 79⁷-ე მუხლის პირველი ნაწილით (სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე განხორციელება), 82² მუხლის მე-3 ნაწილით (ჩამდინარე წყლების ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩაშვების შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დარღვევა), ასევე, „ნარჩენების მართვის კოდექსის“ 31-ე მუხლის მე-5 ნაწილით (5 ერთეული ან 5 ერთეულზე მეტი საბურავით, გარდა ველოსიპედის საბურავისა, გარემოს დანაგვიანება) და 36-ე მუხლის მე-2 ნაწილით (სახიფათო ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება ან სხვა ქმედება, ჩადენილი ნარჩენების შეგროვების კონტეინერის გარეთ, აგრეთვე სამეწარმეო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების არადანიშნულების კონტეინერში, მათ შორის, მუნიციპალური არასახიფათო ნარჩენების კონტეინერში მოთავსება) გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტებზე, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №074729, №074726, №074727, №074728, №074731, №074730 ოქმები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. მეტეხში კომპანიის მიერ განთავსებულია ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი საწარმო, რომლის

შემადგენლობაშიც შედის დიდი (120 000 მ³) და მცირე (60 000 მ³) წარმადობის მქონე სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარები. აღნიშნული დანადგარებიდან 120 000 მ³ წარმადობის მქონე სამსხვრევ-დამხარისხებელი მოწყობილია 2018 წლამდე, ხოლო მცირე - 2018 წლის შემდგომ. ობიექტის ტერიტორიაზე ასევე განთავსებულია ნავთობპროდუქტის საცავი. სკრინინგის განცხადების მიხედვით, სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმო მდებარეობს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ, 19 006 მ² ფართობის მქონე, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 67.12.43.000.079), რომლის სარგებლობის უფლების მოპოვების მიზნით მიმდინარეობს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი პროცედურები. დიდი წარმადობის მქონე სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარის განთავსების GPS კოორდინატებია: X-447454, Y-4642740, ხოლო მცირესი - X-447505, Y-4642702. უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია დაახლოებით 36 მეტრით, დიდი წარმადობის მქონე სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარის განთავსების წერტილიდან - 140 მეტრით, ხოლო მცირედან - 195 მეტრით. უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. მტკვარი, დიდი წარმადობის მქონე სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარიდან დაშორებულია დაახლოებით 125 მეტრით, ხოლო მცირედან - 65 მეტრით. სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 550 მეტრში განთავსებულია ანალოგიური პროფილის მქონე ობიექტი (სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმო), თუმცა, მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ აღნიშნულ საწარმოებს შორის არსებული მანძილი შეადგენს დაახლოებით 470 მეტრს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საწარმო განთავსებულია მჭიდროდ დასახლებული ტერიტორიის სიახლოვეს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებული დიდი და მცირე წარმადობის სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარები აღჭურვილია სათანადო კომპლექტაციით, რომლის შემადგენლობაში შედის: მიმღები ბუნკერები, ყბებიანი და როტორული სამსხვრევები (წარმადობა 60 მ³/სთ და 30 მ³/სთ), ქვიშის სარეცხები, ლენტური კონვეიერები, ასევე, ნედლეულის და პროდუქციის ღია სასაწყობო მოედნები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ობიექტზე, წლის განმავლობაში, გათვალისწინებულია ჯამურად 180 000 მ³ ქვიშა-ხრემის სველი მეთოდით გადამამუშავება და 75 000 მ³ ქვიშისა და 105 000 მ³ ღორღის მიღება. საწარმოს სამუშაო რეჟიმი შეადგენს წელიწადში 250 დღეს, დღე-ღამეში 8 საათს.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, საწარმოს ტექნოლოგიური პროცესი იწყება მარაგადახურული ავტოთვითმცლელელების მეშვეობით ნედლეულის ობიექტის ტერიტორიაზე შემოზიდვით, რომელიც დროებით თავსდება ღია სასაწყობო მოედნებზე, ხოლო შემდგომ, ბულდოზერის საშუალებით, იტვირთება მიმღებ ბუნკერებში. ბუნკერებიდან ნედლეული ეტაპობრივად გაივლის სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარების შემადგენელ ელემენტებს, სადაც მიმდინარეობს ნედლეულის ორჯერადი მსხვრევა, რეცხვა და სხვადასხვა ფრაქციებად (0-6 მმ, 6-8 მმ და 8-20 მმ) დახარისხება. მიღებული პროდუქცია, ლენტური ტრანსპორტიორების მეშვეობით, შემდგომ რეალიზაციამდე, თავსდება ღია სასაწყობო მოედნებზე. დოკუმენტის მიხედვით, ნედლეულის საწარმოს ტერიტორიაზე შემოსაზიდად ხორციელდება 13 სატრანსპორტო ოპერაცია, რისთვისაც გამოიყენება გორი-კასპის დამაკავშირებელი გზატკეცილი და აღნიშნული გზატკეცილიდან საწარმომდე მისასვლელი მეორეხარისხოვანი (დაახლოებით 730 მეტრი) გრუნტის გზა. სატრანსპორტო ოპერაციებისთვის განკუთვნილი გზებიდან დასახლებულ პუნქტში გაივლის მხოლოდ საწარმომდე მისასვლელი მეორეხარისხოვანი

გრუნტის გზა. დოკუმენტში მითითებული არ არის ობიექტიდან პროდუქციის გასატანად გათვალისწინებული სატრანსპორტო ოპერაციების შესახებ ინფორმაცია.

სკრინინგის განცხადების თანახმად, კომპანიის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების საწვავით გამართვის მიზნით, საწარმოს ტერიტორიაზე ასევე მოწყობილია 5 ტონა ტევადობის მქონე, დიზელის მიწისზედა რეზერვუარი და ავტოგასამართი სვეტი. ნავთობპროდუქტის საცავის განთავსების GPS კოორდინატებია: X-447441, Y-4642777. წარმოდგენილი ინფორმაციით, საწვავის გასაცემი უზნისთვის გათვალისწინებულია მარტივი კონსტრუქციის გადახურვის მოწყობა, რეზერვუარის სასუნთქი სარქველებით აღჭურვა, ნავთობპროდუქტის საცავის ტერიტორიის ბეტონის საფარით დაფარვა, შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტის შესაკავებლად შემოზვინვის მოწყობა და სანიაღვრე წყლების ასარიდებლად ბეტონის არხის განთავსება. ობიექტზე წლის განმავლობაში გათვალისწინებულია მაქსიმუმ 60 000 ლიტრი დიზელის საწვავის რეალიზაცია. ნავთობპროდუქტების საცავის საწვავით შევსება ხდება საჭიროებისამებრ, შესაბამისი კომპანიების მიერ. სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს ნავთობპროდუქტის საცავის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლებისა და შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტის მართვის საკითხი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოში წყალი გამოიყენება სასმელ-სამეურნეო და საწარმოო მიზნებისთვის. ობიექტის სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ხორციელდება ტერიტორიაზე მოწყობილი ჭაბურღილიდან, რაზეც მოპოვებული იქნება შესაბამისი ლიცენზია. საწარმოო დანიშნულებით წყალაღება ხდება მდ. მტკვრიდან (GPS კოორდინატები: X-447493, Y-4642660; X-447501, Y-4642658). მდინარიდან აღებული წყალი, 2 ერთეული ტუმბოსა (წარმადობა: 22 მ³/სთ და 11 მ³/სთ) და ლითონის მილების (დიამეტრი: 100 მმ და 63 მმ) მეშვეობით, მიეწოდება სამსხვრევ-დამხარისხებელ დანადგარებს. წარმოდგენილი ინფორმაციით, 180 000 მ³ ქვიშა-ხრემის სველი მეთოდით გადამუშავებისათვის საჭიროა წელიწადში 60 000 მ³ წყალი.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების შესაგროვებლად საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილია საასენიზაციო ორმო, რომლის დაცლა ხორციელდება ხელშეკრულების საფუძველზე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შესაბამისი სამსახურის მიერ. ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების მოცულობა, 10%-იანი დანაკარგის გათვალისწინებით, შეადგენს 54 000 მ³/წელ-ს. საწარმოს ტერიტორიაზე, ქვიშა-ხრემის სველი მეთოდით გადამუშავების შედეგად წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების გაწმენდა ხდება მექანიკური, დალექვის მეთოდით. ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებული წყალი, მექანიკური გაწმენდის მიზნით, მიეწოდება ორსაფეხურიან სალექარს (ფართობი: 1 323 მ²). დოკუმენტის თანახმად, აღნიშნული სალექარი გაყოფილია დაახლოებით ორ თანაბარ საფეხურად, რომლის თითოეული საფეხურის ფართობი შეადგენს დაახლოებით 661 მ²-ს, ხოლო სალექარის მაქსიმალური სიღრმე შეადგენს - 3 მეტრს. აღნიშნული პარამეტრების გათვალისწინებით, სალექარის ჯამური მოცულობა შეადგენს 3 969 მ³-ს (თითოეული დაახლოებით 1 983 მ³). სალექარში გაწმენდილი ჩამდინარე წყალი, 40 მეტრი სიღრმის მქონე ღია არხის საშუალებით, ჩაედინება მდ. მტკვარში (წყალჩაშვების წერტილის GPS კოორდინატები: X-447606; Y-4642695). სკრინინგის განცხადების თანახმად, ჩამდინარე წყალში შეწონილი ნაწილაკების კონცენტრაცია არ გადააჭარბებს 60 მგ/ლ-ს. საპროექტო ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლები ბუნებრივად შეიწოვება გრუნტში ან/და საწარმოო ჩამდინარე წყალთან ერთად მოხვდება სალექარში, ხოლო გაწმენდის შემდგომ, ჩაედინება მდ. მტკვარში. დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებული ჩამდინარე წყლის მექანიკური გაწმენდის მიზნით მოწყობილი

ორსაფეხურიანი სალექარის პარამეტრები და მოცულობა, ასევე, ობიექტზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების მართვის საკითხი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია მავნე ნივთიერებების, არაორგანული მტვრის და ნაჯერი ნახშირწყალბადების წარმოქმნა და ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევა. დოკუმენტში იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებების გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები, ასევე, აღნიშნული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი მაჩვენებლები, თუმცა, მოცემული არ არის ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ხარისხობრივი შეფასება უახლოეს მოსახლესთან მიმართებაში. ამასთან, სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ გაბნევის ანგარიშის შესაბამისად, საწარმოს ექსპლუატაციის შედეგად, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული არცერთი მავნე ნივთიერების კონცენტრაცია არ აჭარბებს ზღვრულად დასაშვებ მნიშვნელობებს, თუმცა, აღნიშნული გაბნევის ანგარიში წარმოდგენილი არ არის. ზემოაღნიშნული გარემოებების, ასევე, საწარმოს წარმადობისა (180 000 მ³/წელ) და უახლოეს საცხოვრებელ სახლთან დაშორების მანძილის გათვალისწინებით, ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების საკითხი საჭიროებს დამატებით შესწავლას და შეფასებას.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების ძირითადი წყაროა ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარ-მექანიზმები. დოკუმენტის თანახმად, ობიექტის ფუნქციონირების შედეგად მოსალოდნელი ხმაურის გაანგარიშება განხორციელდა ონლაინ პროგრამის (<https://noisetools.net/>) გამოყენებით, რომლის მიხედვით, ორივე ტექნოლოგიური ხაზის ფუნქციონირების დროს წარმოქმნილმა ხმაურის ჯამურმა დონემ შესაძლებელია საშუალოდ შეადგინოს 93 დბა. უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე დაშორების მანძილისა და ხმაურის ჯამური მნიშვნელობის გათვალისწინებით განხორციელებული მოდელირებით დადგინდა, რომ ხმაურის დონემ შესაძლოა უმნიშვნელოდ გადააჭარბოს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს №398 დადგენილებით გათვალისწინებულ ხმაურის დასაშვებ ნორმას და შეადგინოს 41.8 - 42 დბა. აღნიშნულის გათვალისწინებით, საწარმოს ფუნქციონირების შედეგად, მოსალოდნელია ხმაურის გავრცელებით გამოწვეული მნიშვნელოვანი ზემოქმედება, რაც საჭიროებს დამატებით შესწავლას, შეფასებას და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრას.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში წარმოიქმნება არასახიფათო და სახიფათო ნარჩენები, რომლებიც შეგროვდება სეპარირებულად, შესაბამის კონტეინერებში. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გაიტანა უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე. სახიფათო ნარჩენების შეგროვების მიზნით, ტერიტორიაზე მოეწყობა გადახურული, მარტივი კონსტრუქციის ნაგებობა, სადაც დაგროვებული ნარჩენები, შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. საწარმოს ტერიტორიაზე ასევე გამოიყოფა ცალკეული ჯართისა და გამოყენებული საბურავების დასაწყობების ადგილები. დაგროვების შესაბამისად ჯართი გადაეცემა აღნიშნული სახის ნარჩენების აღდგენაზე შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას ან/და ჩაბარებული იქნება ლიცენზირებულ ჯართის მიმღებ პუნქტ(ებ)ში, ხოლო გამოყენებული საბურავები შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა აღნიშნული სახის ნარჩენების აღდგენაზე შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. რაც შეეხება სალექარში წარმოქმნილ შლამს, შემდგომ რეალიზაციამდე, დროებით დასაწყობდება საწარმოს ტერიტორიაზე.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ობიექტის სიახლოვეს არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიები, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. საწარმო განთავსებულია ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში, სადაც ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და მცენარეული საფარი წარმოდგენილი არ არის.

როგორც უკვე აღინიშნა, მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ საპროექტო ტერიტორიის აღმოსავლეთით, დაახლოებით 470 მეტრში, მდებარეობს ანალოგიური პროფილის მქონე სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმო. სკრინინგის განცხადებაში შესწავლილი და შეფასებული არ არის შპს „საბადოს“ და ზემოაღნიშნული საწარმოს ერთობლივი ფუნქციონირების შედეგად გარემოზე მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება, როგორც ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, ისე ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების კუთხით. შესაბამისად, არსებულ ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედების საკითხი საჭიროებს დამატებით კვლევას.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გადაეგზავნა კასპის მუნიციპალიტეტის მერიას საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ საწარმოს წარმადობის (180 000 მ³/წელ), უახლოეს მოსახლესთან დაშორების მანძილის და მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით, ობიექტის ექსპლუატაცია დაკავშირებული იქნება გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან, რაც საჭიროებს დამატებით შესწავლას, შეფასებას და შესაბამისი პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრას.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის, ამავე კოდექსის II დანართის მე-5 პუნქტის 5.1 ქვეპუნქტისა და მე-6 პუნქტის 6.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. მეტეხში შპს „საბადოს“ სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოსა და ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაცია **დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „საბადო“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „საბადოს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „საბადოს“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და კასპის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12

კმ.№6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

